

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

დასახელება	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ქტივები				
ვული და ფულის ექვივალენტები	3	1 018 898	235 622	2 191 534
ავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	642 132	1 353 640	321 486
ხვა პირზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	5	7 496	8578	789 373
არაგები		436 263	740 605	824 094
ჩა პროდუქცია	6		141 833	113 650
ხვა	5	436 263	598 772	710 444
აინვესტიციო ქონება				
ხვა მოკლევადიანი აქტივები	5		588	8 452
იოლოგიური აქტივები		87 170	130 590	174 010
ეფითლირებულების მოდელით	7	87 170	130 590	174 010
ადაფასების მოდელით				
უდვილი				
ხვა არამატერიალური აქტივები				
ირითადი საშუალებები	8	11,877,824	12 325 362	11 448 220
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები ხვა საწარმოთა შვილობილ ინსტრუმენტებში		2 790 000	9 000	9 000
ხვა გრძელვადიანი აქტივები				
ულ აქტივები		16 859 783	14 803 985	15 766 169
ალდებულებები				
აიჯარო ვალდებულებები				
ნარიცხები				
ავაჭრო ვალდებულებები	10	128 580	340 428	109 277
ალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		2 221	16606	39
აგადასახადო ვალდებულებები	9	25 090	47 138	76 371
ოკლევადიანი ნასესხები სახსრები	11	17 447 249	12 365 020	12 378 404
კრძელვადიანი ნასესხები თანხები	12	17 834 866	10 560 435	11 047 612
იღებული გრანტები				
ხვა ვალდებულებები	10		1 045	3916
ულ ვალდებულებები		35 438 006	23 330 672	23 615 619
აკუთარი კაპიტალი				
ააქციო კაპიტალი	13			885 126
აემისიო შემოსავალი				
ამოსყიდული საკუთარი აქციები				
აუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		-18 578 223	-8 526 687	-8 734 576
ადაფასების რეზერვი				
ულ მშობელი საწარმოს მფლობელობისთვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		-18 578 223	-8 526 687	-8 734 576
ულ საკუთარი კაპიტალი		-18 578 223	-8 526 687	-8 734 576
ულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		16 859 783	14 803 985	15 766 169

დირექტორი: კახა მელუა

5. 22.24

თარიღი:30.09.2025

სრული შემოსავლის ანგარიშგება

დასახელება	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
იეტო ამონაგები		1 086 944	2 274 606
აქონლის გაყიდვიდან	14	1 085 008	2 263 164
ხომსახურების გაწევიდან			
იხვა		1 936	11 442
აყიდვების თვითღირებულება		-408 075	-879 388
აწყისი მარაგები			
ხარაგების შესყიდვა			
ადამუშავების დანახარჯები			
აბოლოო მარაგები			
აერთო მოგება		678 869	139 5218
იხვა საოპერაციო შემოსავალი	14	424 359	589 019
დასაქმებულთა ანაზღაურება	15	-197 119	-332 230
ხირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	16	-494 832	-496 176
აპროცენტო შემოსავალი	17	52 235	487 094
აპროცენტო ხარჯი	17	-3 510 181	-199 3170
იჯარის ხარჯი			6 780
დმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	18	-1 376 915	-557 482
იულ საოპერაციო ხარჯები		-5 102 453	-2 309 725
აოპერაციო მოგება		-4 423 584	-914 507
აუფასურების(ხარჯი)/აღდგენა			
ვინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი)აღდგენა			
ხარაგების გაუფასურების(ხარჯი) აღდგენა			
იხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების(ხარჯი)/აღდგენა			
ქმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და ავალუტო სახსრების გადაფასებიდან		-448 377	108 088
იღებუი დივიდენდები			
იხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	19	-138 683	194 924
იოგება/(ზარალი)მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი აპერაციებიდან		-5 010 644	-611 495
იოგების გადასახადის ხარჯი			
აანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		-5 010 644	-611 495
იხვა სრული შემოსავალი(ზარალი)			
ხირითადი საშუალებების(მათ შორის ბიოლოგიური აქტივების)გადაფასების ზეზერვი			
იხვა სრული შემოსავალი/ზარალი,სულ			
იოლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		-5 010 644	-611 495
აკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		-8 526 687	-7 849 450
კანაწილება მესაკუთრეებზე(მათ სორის დივიდენდი)			
იხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			-65 742
კაპიტალის სხვა ცვლილებები	13		
აკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს		-18 578 223	-8 526 687

დირექტორი: კახა მელუა

5. მელა

თარიღი:30.09.2025

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აგრო მსოფლიო“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2018 წლის 15 თებერვალს. საიდენტიფიკაციო კოდი - 405 253 942. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოტე მაყაშვილის ქუჩა, N 24.

სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენა და მათი სამომავლო განვითარება. კომპანიის საქმიანობას წარმართავს მისი დირექტორი: კახა მელუა:პ/ნ 33001010950 .

მისამართი: ოზურგეთი სოფ ბახვი მე-15 ქ ბ126 .

კომპანიის 100%-იან მფლობელობაშია საქართველოს რეზიდენტი საწარმო - შპს „ეფკო“ (ს/კ 429 321 851). შპს „ეფკო“-ს ძირითადი ეკონომიკრი საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა კენკროვანი ხილის, ძირითადად ლურჯი მოცვის მოყვანა-რეალიზაცია.

შპს „ეფკო“-ს საიდენტიფიკაციო კოდი 429321851 (შემდგომში კომპანია) არის სამეწარმეო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 21 მაისს. და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სათავე კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის საწარმოები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის გაწმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე. წილი შვილობილ კომპანიაში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში. მეკავშირე კომპანიები მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც იწვესტორს გააჩნია მწიშველოვანი გავლენა. თუ ინვესტორს ინვესტირებულ საწარმოში პირდაპირ ან არაპირდაპირ (მაგ., შვილობილი საწარმოს მეშვეობით) ეკუთვნის ხმის უფლების 20% ან მეტი, მაშინ მიიჩნევა, რომ იწვესტორს გააჩნია მწიშველოვანი გავლენა (თუკი არ არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები იმისა, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს). სხვა ინვესტორის მიერ ამავე საწარმოში მნიშველოვანი წილის, ან საკონტროლო პაკეტის ფლობა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე საწარმოს არ შეიძლება გააჩნდეს მნიშველოვანი გავლენა მოცემულ საწარმოზე. მეკავშირე საწარმოში აღიარებულია წილობრივი მეთოდით.

ინვესტირებული საწარმო მიიჩნევა მეკავშირე საწარმოდ.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებული ელიმინირებული ოპერაციები შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მეკავშირე საწარმოებთან ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული მოგებები ელიმინირებულია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საპირისპიროდ.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული მნიშვნელოვანი პრინციპები.

მომზადების საფუძველი.

შპს „აგრომსოფლიოს“ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მშს ფასს -ის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ მიხედვით. ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, რადგანაც არსებობს საკმარისი რწმუნება იმის შესახებ, რომ კომპანია ფუნქციონირებას განაგრძობს მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შეფასების საფუძველი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულებების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და აღიარებს მათი ეკონომიური შინაარსიდან გამომდინარე, თუმცა ითვალისწინებს მათ სამართლებრივ მხარესაც.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წარმოებს პირდაპირი მეთოდით. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

გამოყენებულია საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“.

სამართლიანი ღირებულება.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებულ ან გადახდილ იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ჰიპოთეტური ოპერაციის შემთხვევაში.

როდესაც ხდება სამართლიანი ღირებულების შეფასება კომპანია იყენებს საჯაროდ გავრცელებულ მონაცემებს, რადგანაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების პირდაპირი დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საჯარო ხელმისაწვდომ მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს.

მარაგების შეფასება.

მარაგები შედგება აქტივებისგან რომელთაც მასალის დანიშნულება აქვთ. ისინი ფასდება თვითღირებულებას და ნეტო სარიალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ან მომსახურების მოცემულ ადგილამდე და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად. იგი მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და საწარმოს ზედნადებ დანახარჯებს.

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დრო.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალი. ცვეთის გაანგარიშება წარმოებს ისე, რომ აქტივებიდან მიღებული ეკონომიური სარგებელი და ცვეთის დარიცხვა განისაზღვროს წრფივი მეთოდით შემდეგნაირად:

შენობა ნაგებობები 5%

მიმოსვლის გზები 5%

სარწყავი სისტემა 5%

მანქანა დანადგარები 10%

ელექტრო ძრავები და დიზელ გენერატორები 10%

ელექტროგადაცემის საშუალებები 10%

კავშირგაბმულობის საშუალებები 20%

ავეჯი, საოფისე ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა 20%

ინვენტარი და ელექტრო მოწყობილობები 20%

სპეციალური ინსტრუმენტები და ინვენტარი 12.5%

მსუბუქი ავტომობილები 20%

ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენებლად და სხვა ავტოსატრანსპორტი 10%

სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალება 25%

მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები 50%

ბიოლოგიური აქტივები 20%.

მიწა არ იცვითება.

ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში არ იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარაა მოსალოდნელი მომავალსი ეკონომიური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით.

დანახარჯები ძირითადი საშუალებების მოვლა, შენახვისა და რემონტზე, რომლითაც არ იზრდება ძირითადი საშუალებების ღირებულება მიკუთვნებულია საოპერაციო ხარჯებზე. დანახარჯები რომელიც გაიწევა ძირითადი საშუალებების რეკონსტრუქციაზე, განახლებაზე და გადართობაზე კაპიტალიზირდება და ზრდის ძირითადი საშუალებების ღირებულებას.

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვისმიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონება.

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობა, აგრეთვე შენობის ნაწილი) რომელსაც ფლობს მესაკუთრე საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით,, გარდა ისეთი მიზნებისა ,როგორიცაა გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიას აქვს საინვესტიციო ქონება და იჯარით აქვს გაცემული ფართი და იყენებს საინვესტიციო ქონების თვითღირებულებით შეფასების მეთოდს. საწყის ეტაპზე საინვესტიციო ქონება ფასდება მისი შეძენის ღირებულებით.

შეძენილი საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ უშუალოდ მიკუთვნებულ დანახარჯებს.შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა აღიარდეს აქტივად მხოლოდ და მხოლოდ მაშინ , როდესაც მოსალოდნელია,რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიურ სარგებელს და შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. ყველა სხვა დანახარჯი უნდა აღიარდეს იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც პერიოდის ხარჯი.

კომპანიის შემოსავლებს წარმოადგენს სამედიცინო მომსახურებიდან და იჯარით გაცემული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები. შემოსავლების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში თუ მთლიანი ეკონომიური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელთა გაზომვა საიმედოთაა შესაძლებელი .

მფლობელთა კაპიტალი.

მფლობელთა კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მეწილეების მიერ მის საკუთარ კაპიტალში შეტანილი თანხების და აქტივების შეტანის თარიღისთვის შეფასებულ სამართლიან ღირებულებას.

ფული და ფულის ექვივალენტები.

ფული და ფულის ექვივალენტები არის ფინანსური აქტივები, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს . ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებს.

დივიდენდები.

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით.

დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

გაქვითვა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაქვითულად აღიარდება და წმინდა თანხად ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა მოხდეს ურთიერთჩარიცხვა ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დარეგულირება ერთდროულად.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები

ხელფასები,სარგოები,ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის დროს შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს,რომელ წელსაც გაწეულ იქნა სესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

შემოსავლები.

შემოსავლებს წარმოადგენს მოცვის რეალიზაციით და სხვა ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები. შემოსავლების აღიარება ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში თუ მთლიან ეკონომიური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელთა გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი.

სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით.

სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ხდება აღიარებული შემოსავლების პროპორციულად. ხარჯები აღიარდება მოგება -ზარალის ანგარიშგებაში გაწევისთანავე, თუ მის შედეგად მოსალოდნელი აღარ არის ეკონომიური სარგებლის მიღება ან თუ მომავალი ეკონომიური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან წყვეტს იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას,რომელიც მის ბალანსში აქტივად აღიარებისთვისაა აუცილებელი.

გადასახადები.

კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში

რეგისტრირებულ კომპანიებს,როგორც წესი ,არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის.

შესაბამისად 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები შემთხვევებისა).

და გადავადებულI მოგების გადასახადის ვალდებულებები(გარდა იშვიათი

გამონაკლისი 2024წელს საქართველოსი მოგების გადასახადი 15% -ს შეადგენდა.

გაცვლითი სავალუტო კურსები:

სავალუტო ფულადი მუხლებისთვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი

კურსები,დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD= 2.8068 ლარი.

1 EUR= 2.9306 ლარი.

2023წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD= 2.6894 ლარი.

1 EUR= 2.9753 ლარი.

3.ფული და ფულადი ექვივალენტები:

დასახელება	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები ლარში	1 017 589	15622	126 892
ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები დოლარში	1235	0	0
ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები ევროში	74	0	32
ფული სალაროში(ნაღდი ფული)	0	0	0
ფული ვადიანიან დეპოზიტებზე(ლარში)	0	220 000	2 064 610
სულ	1 018 898	235 622	2 191 534

კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის რაიმე სახის ზარალს იმ ბანკების ვალდებულებების შესაძლო შეუსრულებლობის გამო, სადაც ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტებია განთავსებული. ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების საბალანსო და რეალური ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

4. მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან:

დასახელება	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოცვის რეალიზაცია საქართველოში	900 450	1 353 640	68 291
მოცვის ექსპორტი		259 477	253 195
მოცვის ექსპორტის საექვო მოთხოვნების კორექტირება	-258318	-259 477	
სულ	642 132	1 353 640	321 486

2024წელს საწარმომ დააკორექტირა ექსპორტზე გაგზავნილი პროდუქციიდან 2020წ-2021წ წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებები და მიანიჭა მას უიმედო მოთხოვნების კვალიფიკაცია.

5. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები.

დასახელება	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
გაცემული მოკლევადიანი პროცენტის სესხები		20 227	66 450
გაცემულ მოკლევადიანი პროცენტის სესხებზე დარიცხული პროცენტები		2579	
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	7 496	7 698	740 346
სხვა მოკლევადიანი აქტივები			5000
სხვა			710 352
სულ	7 496	30 504	1 522 148

6. მარაგები

დასახელება	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოცვი		141 833	113 650
შეძენილი კენკრა		67614	0
სასუქები	110 830	123 552	141 175
პესტიციდები	88 368	86950	86 140
შესაფუთი ტარა	151 513	208 831	173 833
საწვავ საცხები მასალა	852	79	1 927
შრომის უსაფრთხოების/სურსათის უვნებლობის მარაგი	3911	4417	848
სხვა მარაგი	80 787	107 329	306 429
სულ	436 263	740 605	824 002

7. ბიოლოგიური აქტივები.

დასახელება	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოცვის წერგები	87 170	130 590	174 010
სულ	87 170	130 590	174 010

8. ძირითადი საშუალებები:

მიწის ნაკვეთები	7 048 400	7 070 263	7 070 261
დაუმთავრებელი მშენებლობა	21 894	21 894	0
სამაცივრე მეურნეობა	1 289 056	1 289 091	2 945
მიმოსვლის გზები	115 188	122 188	129 188
შენობები	965 266	1 025 574	1 085 883
ნაგებობები	384 398	408 377	432 001
სარწყავი სისტემა	435 988	436 551	453 802
მანქანა-დანადგარები	1 057 029	1 231 399	1 405 769
ელექტროძრავები და დიზელ გენერატორები	10 268	12 080	8 921
ელექტროგადამცემის საშუალებები	171 291	202 435	233 579
კავშირგაბმულობების საშუალებები	2 914	4 450	5 986
ოფისის აღჭურვილობა კომპ.ტექნიკის და ავეჯის გარდა	27 137	44 820	61 113
კომპიუტერული ტექნიკა	7 094	12 768	18 442
ელექტრონული მოწყობილობები(გარდა კომპიუტერული ტექნიკისა) ავეჯი	6 739	12 334	16 076
ავეჯი	4 524	11 039	19 071
ინვენტარი(სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტები)	8 772	16 269	21 359
სპეციალური ინსტრუმენტები	41 249	53 130	61 534
ინვენტარი	14 422	18 475	6 759
მსუბუქი ავტომობილები	15 449	35 373	55 297
ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენებლად	192 730	293 597	261 988
სხვა	57 985	2 528	95 317
მცირეფასიანი (ათას ლარამდე) ძირითადი საშუალებები	31	726	2 929
სულ	11 877 824	12 325 362	11 448 220

9.საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები წარმოადგენს 31.12.2024-ის მდგომარეობით წარმოქმნილ ვალდებულებებზე ბიუჯეტის მიმართ, რომელთაგან ნაწილის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა (საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად), მაგრამ ბუღალტრული რეგულაციების მიხედვით (მათ სორის შიდა სააღრიცხვო პოლიტიკით) წარმოიქმნა ვალდებულება:

- ქონების გადასახადი 5643 ლარი (დარიცხვა მოხდა დეკემბერში. გადახდის ვადა არის 2025 წლის ივნისამდე)
- *გადახდილ ავანსებზე ჩათვლილი დღგ 3135 ლარი, რაც დარიცხულია შესაბამის ვადაზე წარდგენილი დეკლარაციებით.
- ჯამურად 31/12/2024 წლისთვის საწარმოს საგადასახადო ვალდებულება შეადგენს 27790 ლარს.

10.სავაჭრო ვალდებულებები და სხვა:

მიმწოდებელი(ლარი)	113 143	71 947	13 840
მიმწოდებელი(ძირითადი საშუალებები)	10 906	260 906	85 315
სხვა მიმწოდებლები(ვალუტა)	0	0	56
გადასახდელი სადაზღვეო ვალდებულებები	0	0	3 984
კომუნალურის მიმწოდებლები	2 320	7 575	3 053
საწვავის მიმწოდებლები	0	0	0
მიღებული აგანსები	0	0	0
დაგროვებადი საპენსიო ფონდი	2 211	16 120	3 029
სხვა მიმწოდებლები	0	0	0
სულ	128 580	356 548	109 277

11.მიმდინარე სასესხო ვალდებულებები.

მოკლევადიანი სესხი აღებულია ბაზის ბანკში 31/03/2022წ 110 000\$	0		297 220
მოკლევადიანი სესხი აღებულია ბაზის ბანკში31/03/2022წ 80 000\$	0		216 160
მოკლევადიანი სესხი აღებულია ბაზის ბანკში 31/03/2022წ	0		50 000
მოკლევადიანი სესხი აღებულია ბაზის ბანკში 2023წელს	0	662 937	
მოკლევადიანი სესხი იურიდიული პირებიდან	8 664 416	4 929 612	2 211 810
იურიდიულ პირებისგან აღებულ სესხზე დარიცხული პროცენტები	1 601 191	523 771	79 317
ჰალიკ ბანკიდან აღებულ გრძელვადიან სესხზე დარიცხული პროცენტები	0		23 852
ჰალიკ ბანკიდან აღებული გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	0		1 027 031
დამფუძნებლის წინაშე ვალდებულებები	7 181 642	4 065 434	
სულ მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	17 447 249	10 181 754	6 277 390

12.გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ბაზის ბანკიდან აღებული გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში(ლარი)15/11/2022წ	0	1 000 000	1 000 000
ჰალიკ ბანკიდან აღებული გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში(ლარი)	1 284 498	1 498 256	1 565 814
ჰალიკ ბანკიდან აღებული გრძელვადიანი სესხი უცხოურ ვალუტაში	756 608	924 068	1 046 413
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში(დოლარი)	15 793760	7 138 111	7 435 385
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:	17 834 866	10 560 435	11 047 612

13.ცვლილება სააქციო კაპიტალში:

შპს ეფკო	0	0	885 126
შპს აგრომსოფლიო	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	-18 578 223	-8 526 687	-8 734 576
სულ	-18 578 223	-8 526 687	-7 849 450

14 შემოსავლები:

დასახელება	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი მოცვის რეალიზაციიდან	1 085 008	2 230 679	1 323 211
სხვა შემოსავლები	1 936	43 927	1 266 333
სულ	1 086 944	2 274 606	2 589 544

15. სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი:

დასახელება	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
შრომის ანაზღაურება (საერთო ადმინისტრაციული)	-197 119	-669 668	-664 899
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	-1 389 997	-1 546 000	-915 145
სულ	-1 587 116	-2 215 668	-1 580 044

16. სულ არასაოპერაციო ხარჯი/შემოსავალი:

დასახელება	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი	-3 457 946	-1 506 076	-1 318 468
სხვა შემოსავალი/ხარჯი	424 359	532 633	132 777
კურსთაშორის სხვაობა	-448 377	303 010	14 174
სულ	-3 481 964	-670 433	-1 171 517

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.